

კუირა 10 . იანვარი.

ფასი 10 გრ.

ბეჭორქები

N 2. — სალამური

კოდელ-კუირებითი იუმოსი. მუსიკალი.



ცხადი არის ხელავთ ყველა,
რომ სკოლის წინ
საფრთხობებია
აღმართავს ვიღაუს ხელს,
(ეშმაკა და არ დასაცლელს!)
ისე რიგათ იბლვირება,
თითქმ მუშტებს იღირება.

ანლო მისვლის ვინ გაბედვს,
თუ დედ-მამას არა ხედივს?!

ბავშვებმა რო დაინახეს,
უერთ შეეცვალათ სახეს!!

სთქვეს: „იქ შეუსვლელობა ჯობს

თორებ ვინმე
უკრს მოგვიძრობს.“
პატაწინა მცვობრები
დაფრთხენ, როგორც შვლის ნუკრები.



და მოქაურუხლეს იქიდან შორს:
„შერცხვებაო ჩვენს ინსპექტორს“
მაგრამ, თავიც არ მომიკვდეს...
ის ამ ამბავს
არ დაგიდეს.
იმას თითქო გაუხარდა...
სჩანს, ბავშვები
არ უყვარდა.

— კი.

ეშჩავის ინტერვიუ.

გიორგი გვაზაგასთან.

— რა ვუყოთ, ზოგთან ერთხელაც ვერ გეხელი, თქვენთან კი მეორეთ.

— მშ მე განსაკუთრებული პატივისცემის ღის კუთხით.

— ყოველივე ეჭვს გარეშეა. მას შემდეგ, რაც თქვენ „სამი ივნისის კანონის“ დამცველობა იყისრეთ...

— და განა შეიძლებოდა არ მეტისრა? მე ხმ დამცველი ვპრანდები, ბ-ნო ეშმაკა...

— როგორ დამცველი?

— როგორ დამცველი და ადვოკატი. ადვოკატი ხომ დამცველია. მე არ შემეძლო არ დამეცო სამი ივნისის კანონი თუ კი ბოქაული ბ-ნი კედია სახაზინო თეატრის გამგე და სხვა ამგარები გავათეთრე, სამი ივნისის კანონის ხმ ვერ ჩასწიხლავდი?

— რასაკვირველია ვერა. მიუხედავთ იმისა, რომ წილები საუკროვოთ გემარჯვებათ, იმათ მანც ვერ ჩასწიხლავდით. ჰო და, როცა თქვენ ამ დამცველობით თავი ისახელეთ, მე დიდი იმედები დამებადა გულში ჩვენი ეროვნული აღმოჩენების შესახებ. მაგრამ, როცა „ნოვაია ლენინა“ თქვენი ისტორიული შარლატინობა გამოაქვეყნა, მე აღარ ვიცა რა მექანი ენტუზიაზმისა და აღტაცების თვეს...

— ნუ თუ სართლა ასე მოგვწონათ? ის სულ რაღაცა სამოთხო ნიმუშში დავწერ.

— რას ამბობთ ყმაშვილო, იმოდენა შარლატინობა და ხუთ წუთში? იმას კი ველი დაგიჯერებთ, ჯოჯოხთის მაღლას ვეიფავ.

— გვუძნევი სულ რაღაცა, კაკის ნიბულ ხუთ ეჭვს ნიმუშში!

— ვინ იყის, შეიძლება, მაგრამ გოთუა უმშველოა გაგისწორებდათ. იმისი წილიც იქნება შიგ, მარტო თქვენ ამდენს ვერ შესძლებულ.

გვაზავას ცოტა შერცხა, სახეზე წმოშითლდა. უნდოდა გამოტებილიყო, მაგრამ ბოლოს ისევ დაიმორჩილა მოელვარება და სინდისი...

— ღმერთი არ გმიტებეს! გოთუა რათ მინდოდა ამაზედ? ძალიან მშენის ბ-ნო ეშმაკა, რომ თქვენ

ჩემზედ ასეთი ცუდი აზრისა ყოფილხართ. რა არის აქ, უბრალო, შარლატინობა ამას ყოველი კაცი მოახერხებს თუ კი სურვილი ექნება და განათლებაც ხელს უწყობს.

— არა, ნიჭი და გაბედულება მაინც უნდა.

— თქვენ აი აწე უყურეთ! მე განზრავა მაქვს ახლო მომავალში მეორე წერილი მოვათავსო „ნოვაია რეზი“.. წერილი აი ის იქნება!..

— თუ ეს შარლატინიზმი დაგიმტკიცდათ, შემდეგ მე თქვენგან აღარაფერი არ გამიკვირდება.

— პართენიც ძლიერ გახარებულია. ამბობს შემა წერილებმა და გამოკვლევებმა გაზეთის მკითხველები გაგვიორკეცეს.

— ახლს მაინც რას აპირობთ?

— არა, მაინც და მაინც დიდს არაუგრს..: მინდა ვეფხის ტყაოსნის კუპლეტები სხვაფერ დავალიგო და ზოგიერთი შევაკეთო. ენაც მძიმეა და აზრიც ბუნდოვანათ არის გამოტებული. ასეთი ლექსებით ადამის დროს წერდენ, ახლა სულ სხვა მოთხოვნილება აქვს საზოგადოებას და ვეფხის ტყაოსნიც არ შეესაბამება ჩემს გემოვნებას.

— რა ერქმევა წერილებს?

— წერილებს?.. არ ვიცი ღმერთმანი, ჯერ მხოლოდ ვფიქრობ ამაზე. მე მგონია ყველას აჯობებს „ქარაფშუტიზმ“ რომ დავარქვა. თქვენ რას იტყვით?

— რაღა მეთქმის, ჩინებულია!

— ერთი, ეს მარრია თუ ვიღაც ოხერი, უთუოდ უნდა ჩაგრილო. ქარაფშუტიზმით უნდა დავუმტკიცო იმას, რომ მეცნიერებაში კოჭი ჩვენც ვიჩეხს, რომ ერთი კალამი და ქაღალდი ჩვენც ვიზონება.

— პართენ გოთუა რა აზრისა ამის შესახებ? რაც უნდა იყოს იმის გაზეთში იბეჭდება.

— თქვენი არ მივიღოს?! პართენის აზრზე ლაპარაკი გამიგონა?! ორი ქართველი არ იქნება ქვეყანაზე, რომ იმას აზრთა მესაკუთრეობა შესწამოს. რა უნდა სთქვას, დიდი ასოებით რომ მიცხადება: „ბ-ნი გიორგი გვაზავას თანამშრომლობითო“ განა მაშინ არ იცოდა ჩემი იდეალები? უჩემოთ ყვავი წალებს, თავვებმა თუ არ შექმნეს.

— მალე გამოვა თქვენი ქარაფშუტიზმი.

— როგორ თუ გამოვა? ის დაიბეჭდება.

— ჰო თუ მალე დაიბეჭდება.

— ხვალვე. მე თქვენ გითხრათ დიდი ფიქრი მჭირია! დაჯდები და დაგწერ. სულ სამი, ნიმუშის საქმეა.

— მაშ მშეიდობით, ხელს აღარ შეგიშლით.

— მშეიდობით... უთუოდ წაიკითხეთ...

ბედნიერია გოთუა! ასეთი პარჯვენა ხელი და პარტიის კაცი ვის არ ააშენებს და დამშვენებს?

ეშმაკი.

ც ა ს.

დაბინდდა. უკვე დასავლეთით მზე ჩაესვენა,
შავთა ორუბელთა ლაუგარდ ცაზე დაიწყეს დენა,
ღამი, გუშაგი ამოსცურდა დინჯაო, ამაყად,
ორუბელთა უკან იწყო კროლოვა თვალთა ჭარა
მტაცად.

გრილმა ნიავმ დასძრა ნავი, ტკბილათ დასტვინა,
აქ ჰუქს შეეხო, იქ მდუმარე ტყე მოალხინა,
მოულოდნელათ ვარდს წარსტაცა ცელქმა სურნელი-
და გააბნია.. ანეტრა ირგვლივ მთა-ველი.

ზღვა აბუტბუტდა. ტალლა ტალლას გაეხმაურა,
ბუნების ფერხულს ბანი მისუა, დაადასცურა..

ძილი გაუკრთო ქანც გაწყვეტილს მან მენავესა,
და გაქანა შორს, შორს სადაც, უცხო მხარესა.

სოფლად კი? ისევ მოთქმა ისმის, გლოვისა ზარი,
ბუნების ლხინი მისთვის ფუჭი და უკხო არი.
იქ მხოლოდ ტანჯვა, მხოლოდ ცრემლი დაბულებული-
მის წმინდათ წმინდა გათელილა, აოხრებულა
სიკვდილი მეფობს, გაუშლია ფრთხილი-კეშანს,
ზავი წყვდიადი დასწოლია სიცოცხლის საგანს.
იბრძეან, მაგრამ ხსინი კარებთან ჯერ ვერ მისულან,
ზოგინ დამთხალან, საცოდვათ მთლად მოკაცულან,
ზოგს მტრის წინაშე მოუხრია ქედი მონურად,
იმს სურვილებს, მის ბრძანებას სარულებს ყმურად-
გამოთიშვიი მისებრ ტანჯულ, საბრალო ძმასა,
ბილწი იუდა, ურტხად ხელ-ფეხს უბორეას მასა.
ძლიერს უძლური დაუჩაგრიეს, სუფექს წამება,
ყოველ-მხრივ ისმის ადამიანთ გლოვა-ვაგბა.

ცაო პირქუშო! შენ ლენი გაქვს შეუწყვეტელი,
ნეტარობს, ილხნს შენი სივრცა, დაულეველი
ზღვა, ლრუბელთ გროვა, დარაზმული ღამის გუშაგი.
მარად გიმლერის, სმენას გიტბობს სამოთხის ჰანგი.
აქ კი უმწერი ხალხი კვნესის, ცრემლათ იღვრება,
სიცოცხლე ტანჯვით ეწამლება, ნელ-ნელ უქრება,
ხელს აპყრობს ზევით, გვევდერება, ითხოვს შევლასა,
შენ ეს არ გვსმის, სასიკვდილოთ სწირავ ცველას.
გულციფი! მოთხარ ვინ დაგარქვა შენ კაც მუკარე?
ეგ ტყულია!.. ცდება, ცდება ხალხი მწუხარე

ოჳ უგნურებავ!..

6. ჩხაგგაძე

ნ ა ვ 0.

ვხედავ ნაეს, მოლლილს ზღვასთან ბრძოლაში,
ობლათ გარიყულს ზღვისა კიდეზე,
უმოქმედობით მტვერი და ობი
რომ ვადაპკერია აფრა რიდეზე.
და ნაპირიდან დაჰყურებს იგი

ზღვის, ცოფ მორეულს, აღქაფებულსა,
და ზეირთთა ჯახი, ყოფილს მეომარს,
ბრძოლის წყურვილით კვლივ უნთებს გულსა.

მას დონცდება განელილი ხანა,
ტალღათა შორის ლილი ნაეარდის,
და ფიქრს ეძლევა... მწარე ოცნებას,
გამომწვეველსა მქენჯნავი დარდის...

...აქ, ამ ზღვის კიდით იმაყი მუზა
ერთ ღრუს გასცერდა ამ „წყლისა სივრცეს“...
ტყისა ხეები უქებდებ მუხას

გამბედაობა-სულის სიმტკიცეს;

ის ზღვის მონაბერ სტიქიონის წინ

სხვა ხეებივით არ ხრიდა ქედსა:

ზღვას თვის გრძელ ტოტებს უტყლაშენებდა,
თოთქოს სტუქსავდა იმ მყვირალს, ყბედსა.

მაგრამ „მუდმივმა“ აჯობა „დროულს“:

ზღვამ მუხას ძირი გმოსუთხარა...
დაეგა იგი... მაგრამ ძლიერს მტერს

ქედი კი მაინც არ მოუხარა!..

სუსტა, მაგრამ ძლიერს ადამიანსა
არრა დარჩება გარდაუქმნელი!
და აი, მუხის უსულო სხეულს
მან აღსაღებნათ შეახო ხელი:

დასჭრა, დახერხა დიდრონ ფიცრებათ,
უედეგ იმათგან ნავი შეჲერა,
დასჭედ-გავთვისა, აჲკიდა ტილი
და ზღვისა ტალღებს მხნედ დააგერა...

მძიმე და დინჯი, მაგრამ მძლე იყო,

სხვა ნავთაგან მით განიჩეოდა,

რომ თავ გაუჩებს არ გაუშევდა,

საცა ზღვის ტალღის წაეწოდა.

იძლია მხოლოთ დროთა ბრუნვისგან:

მოტყდა და აფრა ჩამოელრიცა,

მუდმივის ბრძოლით მჭიდრო კედლები

აქა-იქ კიდეც გამოეცრიცა.

მხოლოთ-ღა მაშინ ნავსა ჰატრონი,

გულდაწყვეტილი გამოეოხოვა:

ფრთხილად აზიდა ზღვისა ნაპირზე,

იქ შეასვენა და მიატოვა...


დღეს მე ამ იბოლს, ყოფილ მეომარს,

როცა გაეხედავ, გული მიკედება!..


ის ზღვის გასცერის და მისი გული

რას გრძნობს იმ წამიში, ვინ მიუხედება?!.

6. ზომლეოლი.



უ. ა. ქადაგი.



ქართული პეირ-რასტატი.

ჩენს ქართულ ეროვნებაში
ბევრი არა გვყავს ოსტატი,
რომ საუთარი სისტემის
შექმნას ჰაეროსტატი.
სხვებმა დაგვიხიცრეს ამ დაზუში
და წაგვაჯობეს ბევრით,
მფრინავთა „კლუბებს“ აღგენენ,
ეწერებიან წევრათა.

ჩვენში კი შეოძლოდ ერთია
ამ საქმის მუშა, შეირთველი,
ეს, ყველასიგან ცნობილი
„დილი“ იასე რაცელი.
იმინ პირებელმა ვაბედი,
საგმირო გასაბედავი,
და თუ არ იგი, რა წყალში
ჩვენარდებოდით ნეტიყი?

ის , ჩქმოდანით „ აფრინდა
 „,დოკუმენტი“ განატენითა
 და გააოცა ქვეყანა
 ამ საარაუკ ფრენითა.
 ძალზე გაბერა ჯიბენი
 ხიფათის ასაცდენითა,
 ქართული „პარაშუტია“
 ოლო შესაძენითა.
 თუ „ჩქმდანი“ დამტვრეს,
 სასტიკი შეხვდეს ქარები,
 იმ დროსთვის ვამღლებიან,
 ეგ ზორბა ჯიბის „შარები“.
 მთელი ქვეყანა შექხრის
 ამ ჩვენს ისე ძალას,
 და პატრიოტიც, თავის შარს
 ეძახის „გეორგიას“.

— 30.

შაურიანი ეკონომიკა,

(**ବ୍ୟାକରଣ ଓ ଜାଗାନ୍ତରିକା**.)

თფილისში კარგათ ცნობილი ტრამების რე-
ფორმატორ-დირექტორი ბატაილი ღრმათ ჩაფიქ-
რებული იჯდა სტოლთან. წინ კალალდები ეყარა
და საანგარიშო ჩიოტი ედგა. უხვი სინათლე ელექ-
ტრონის ლამპისა საუცხოვო, მოწითალო ფერს
სდებდა, როგორც დირექტორის სახეს, აგრეთვე
სტოლზე განხვეულ ქალალდებას. სტოლის მეორე
მხარეზე, ასევე ღრმა ჩაფიქრებულით და იდაყვ და-
ყრდნობილი იჯდა შეორე ბურჯი თფილის ტრამ-
ებისა ბ-ნი გისი და რაღაც ქალალდს ჩაკირება
ტებდა.

— იცით რა მოგახსენოთ, ბ-ნო ვის? — დაიწე
ყო ღირექტორმა. მე მგონია წითელი კანტეპი
კონდუქტორებისათვის აჯობებდა, ხოლო ლურჯი
ვაჭმანებისათგის.

— მე გაშინაც ამ აზრის ვიყავი, მისტერ ბარაილ, მოძრაობის მოწესრიგებისათვის ჩა თქმა უნდა ის აჯობებს, თუ წითელი კანტები კანდუქტორებს ექნება და ლურჯი კი ვატმანებს ეს თავის თავათ ცხადია.

— მერე, თუ ეს თქვენთვის ასე აშკარა იყო,
რატომ მაშინვე არ სთქვათ? ახლა ისევ ხელახლი
რეზოურსი უნდა მოგახდინოთ?

— მაშინვე მინდოდა მეოქვეა, მისტერ ბატაილ,
მაგრამ ვერ გავძედე. არ ვიყოდი გემებოდათ თუ
გეწყინებოდათ.

— რასა ბრძანებთ, პ-ნო გის, თქვენ ერთად
ერთი კაცი ხართ ამ ტრამვაიში, რომელსაც ჩემ-
თან მოურიდიდოთ შეიძიოდით ლაპარაკი და რჩევა.

— კმაღლობთ ასეთი ნდობისათვის, მისტერ
ბარიონ და გარშემონიერთ. რომ არა შემკუთხართ,

თქვენს საუკეთესო მეგობარს უწვდით ხელს.

— ვიცი ბ-ნო გის, ვაკა! შაშ თქვენი აზრით
ვატანებისთვის ლურჯი კანტი აჯობდდა, ხოლო
ქოდესტორებისათვის წითელი, თუ კანტოროლო-
რებისათვის მტრედის ფერი და შუბენდავებისთვის
ყვითელი აჲ!..

ଓঁ র্ণগুরুমাতৃর্ণস গৃহতি দাশুস্বরূপেব্দেল
সিপুলিন আশুপুদা। গুসুপ, রাসায়নিকগুলিনা, মিহুড়
সাফ্যে রাঢ়ি পুর দা ঘুলিনানি বেহুবুরি আপুল
লোর্কেটুর। র্ণগুরুমাতৃর্ণস ঘোড়মিলুব সিপুলিন।

— მით არის კარგი ბ ნო გის, ჩამარჩენილ
ქვეყანაში სამსახური. აქ საზღვარ გარეთიდან ვი-
რო, უბრალო ვირი, აი თოსტები ვირი რომ ჩამ-
იყვანი, მისაც პატივეთ მოეპყრობიან და მოექრ-
ძალებიან: ეს უბრალო კი არ გვეონთ, საზღვარ-
გარეთელი ვირი ბრძანდებია.

— სასაკირველია. ეს თავის თავად ცხადია. აյგ მეც გულში სიცულითა ვკედებოდი ამ კინტებისა და სხვა ამ გვარი რეფორმების გამო! აქ მართლა რომ ყელას ერთნაირი თავი აჩია: აღმინისურაციისაც, ოფიციართველობასაც და საზოგადოებასაც, ყველას თავალში აქვს ჭია.

— ეს ეგრეა და მართლია, მაგრამ ჩევნ მაინც
უნდა შევკვეცოთ ხარჯები, რაც შეიძლება უნდა
შევამტკიროთ.

— კონდუქტორ-ვატმანების ოჯახებისათვის სა-
ექიმო დაზღარების მოსპობა და უფასო ბილეთების
წარმეტვა კარგა მოზრდილ თანხას შეაღებს. ჩვენ
შევგიძლია შაგალითად, ერთი გადასაჯღლიმი ჰუნძტი
მადერის სასტუმროსთან დავნიშნოთ, მეორეც კა-
ლებ საღმე და ამ გვარით ბილეთების ტასიკუ აღსწიოთ.

— რასაკირველია, ბ-ნო გის, ესეც კარგი
საშალელებაა, მაგრამ ეს შემდეგისათვის გამოვალ-
გება. ჯერ ისევ მუშებს უნდა მოვუკიროთ მცხრუ-
პი, რაც კი შეიძლება, რაც მოსახლებებელი იქნება
დღეს უნდა ვუწევთ. სუმრობა საქმე ხომ არ არის!?
ასეთი დრო ჩვენ არც ეშირად შევგხვდება და არც
იოსნის გავაიძრეოთხდა.

— მას მე კარგა ხანია ვფრქნობდი მისტერ
ბატაილ და თუ არ ვამზობდი, ეს მხოლოდ იმი-
ტომ, რომ ოქცენ ისედაც ენერგიულა მოქმედობ-
დით. სრული ჰეშმარიტებაა, რომ ასეთი მარჯვე
დრო მუშაბის ასალებავათ ჩსირათ არც მოგვივა-
და არც დიდხანს გაგრძელდება. დროთა რასაკვირ-
ველია სარგებლობა უნდა. „დრო უულია“ ტყვი-
ოსა ხმა აუ ამზობის ანალისობის.

— აბა ჩაგდეთ ჩიორში. რაკი გზის მუშაქი
მოვიცილეთ, ახლა დეპის მოსამსახურებსაც შეგ-
ვიძლია ჩამოვართვათ ბილეთები და ექიმის დახმა-
რება.

କ୍ଷେତ୍ରର ଅଶ୍ଵର ମିଳିଲୁଏ ହାତାପିଲ, ଝୟା ଉନ୍ନତି-
ରାଜପାତ୍ର ବାଦିଗୁଡ଼ିକ ମୁଖ୍ୟମଙ୍କ ହାତାପିଲଙ୍କରେ ଅଳପଦ୍ଧତି.

— საბუთი?

— საბუთი... რა მოგახსენოთ... აյი მითხა-
რით წელან, რომ მოურიდებლათ შელაპარაკნა. სა-
ბუთი ის არის, რომ ასე აჯობებს. დიახ, ასე აჯო
ბებს.

— მაშ მე ვიტყვი ეგრე არ აჯობებს ჩეთქი
და ესეც საბუთი იქნება.

— თქვენ თუ კი ბრძანებთ მისტერ ბატაილ,
რასაკირველია საბუთი იქნება.

— ეს ერთი; ჩაგდეთ დღეში ხუთი თუმანი.

— განა მეტი არ იქნება?

— ვინ იცის, იქნებ მეტიც დარჩეს, მაგრამ
მინიმუმი ვიანგარიშოთ.

— გასაოცარია სწორეთ ჩვენ წინაპართა ხელ-
გაშლილობა! კარგი დღეში ხუთი თუმანი ..ჩასულია!

— ახლა ჩადი თორმეტი აბაზი ორი გზის
მფხეკავისა სემინარიის დამართე;

— ეს ვერ გაიგო, მისტერ ბატაილ.

— მინდა ორი კაცი მოგაცლო მფხეკავებს. გა-
ნა ამდენი სამუშაო კი არის?

— ჰოოო. მესმის, ჩასულია თორმეტი აბაზი.

— ახლა ჩადი რვა აბაზი ქვიშის დამყრელისა.
ორი კაცი იმათაც მინდა მოგაცლო. რა საჭიროა,
ტყვილათ უყრიან ქვიშას.

— ჩინებული! ჩასულია.

— მოაკელი ერთი მექვიშე ციციანოვის და-
მართს.

— ჩასულია ოთხი აბაზი.

— ახლა ვერის დარშართსაც მოაკელი ერთი
კაცი.

— განა იქ მეტი მუშაობს?

— რას ამბობთ ბნო გის! აյი სწორეთ ეს
მაკვირვებს ჩვენ წინაპართაგან! წარმოიდგინეთ ჯერ
კიდევ ცხენის კონკის დროსაც, თურმე იქ ოთხი
კაცი მუშაობდა. ახლა იანგარიშეთ თქვენ თოხვერ
სამ-სამი აბაზი! ხედავთ, ეს დღიურათ თორმეტ
აბაზს აღგენს. ასეთი დაუდევრობის გამო საზოგა-
დოებას რაღა გადაარჩენდა. კიდევ კარგი რომ
ამდენ ხანს სულ არ გაყორდა. მე მოსვლისათნავე
შევნიშნე ეს დაუზიგველი მფლანგველობა და ოთხის
მაგიდე ორი მუშა დატოვე ახლა ერთიც კი იქმ-
რებს მეონა.

— რასაკირველია იქმარებს მისტერ ბატაილ.
ჩემის აზრით ეს არც ისე საშიში დაღმართია, რომ
იქ ვაგონს ქვიშა დასჭირდეს. უმჯობესია ორივე
მუშა...

მინ... მინ... მინ... მინ... მინ!.. გაისმა უცებ
მძლავრით და მოულოდნელით ტელეფონის წკა-
რუნი.

— ნერავ რაამბავია ასეთი ახირებული რეა,
ლამის დამტვრიონ აპარატი. აბა ერთი გაეპასუხეთ
ბ-ნო გის,

გისი ნელის, აუჩქარებელის ნაბიჯით მიაღდა
ტელეფონის.

— ვინ არის? მე გისი გახლავარ... როგორ,
ხიდი ჩამტკრა? რას ამბობთ? ლირექტორიც აქა
ბრძანდება. მაგრამ ახლა არა ვეცალია, ანგარიშებს
ვუზიგართ. ამ? ვინ? რა ტორმუზი? დიახ აქ არის. შემ-
დეგ გეახლებათ. ცოტა მოითმინეთ. საანგარიშო
გვაქვს. რას ამბობ? ქვიშა განა ცოტაა?.. დამტკრა?
თქვენ იანგარიშეთ? მთელი ვაგონი? ოჯ ღმერთო
ჩემო!... ბევრი დაშავდა?.. ოცდა ათი? მართლა
ოცდა ათი?.. მძიმეთ?

ლირექტორ-რეფორმატორმა ველარ მოითმინა.

— რა ამბავია, ბ-ნო გის, რა ამბავია?

— ვაგონი დამტვრეულა მისტერ ბატაილ,
მთელი ვაგონი ..

— სულ წამდარა?

— ერთიან დალეჭილა! ოცდა ათი კაცი და-
შავებულა.

— ღმერთო ჩემო! ვინ გაუძლებს ახლა ამდენ
ჯარიმას. მოკვდარა ვინმე?

ჯერ მხოლოდ ერთი, ბოქაულის თანაშემწე...
სხვები მძიმეთ დაშავებულან.

— ბოქაულის თანაშემწეს ხომ უფასო ბილე-
თი ექნებოდა? განა ჩვენ ვაგებთ პასუხს?

— აბა რა მოგახსენოთ...

მინ... მინ... მინ... მინ...

— დირექტორი ბატაილ!.. მიხაილოვის საავათ-
მყოფი?.. ძალიან კარგი... გეახლებით . სამწუხა-
რო ვაგონის გაფუჭება... ხალხიც ცოდვაა რასა-
კირველია... ტორმუზი არა მგონია. . როგორ არა,
გუშინ გაესინჯეთ და შევაკეთეთ... მართალია ძე-
ლი ვაგონი იყო, დღიხანს არ ივარგებდა .. მაინც
ზარალია. . ლიანდაგი?.. საზღვარ-გარეთ ეს ცველ-
გან ასეა... მოსახვეში?.. ჰო, შეიძლება გარეთა
მხარე უფრო მომალლო იყოს... რა თქმა უნდა მა-
შინ არ გადავარდებოდა და ამდენი ზარალი არ მო-
გვიდოდა... ეტლავე... მშეიცობით.

ბატაილმა პალტო მოიხურა, ეტლი მოითხოვა
და ცოტა ხნის შემდეგ მიხაილოვის საავათმყოფუში
საკუთარის თვალით იხილა შემაძრწმუნებელი ნა-
ყოფი „,რვა-აბაზიანი“ ეკონომიისა.

ეშმაკი.

* *

კავკასიის მთას, ჩამავალი მზისა სხივები
უკანსკენელათ უკოცნინ ჟაღარა თავსა
და სიცხლველეს მოკლებულნი, განაცივები
ესწრაფებიან გადაეშვან უფრულსა შავსა.

მწუხრის სამოსით დათალხული არე მიღამო
დასევდიანდა, დაეკარგა სიცოცხლის ძალა,
ბუნების ტურფა ჰარმონია, უცხო, სამო
წყვდიადის კალთამ გაიხვია და მიამქრიალა.

ნიავი ჩადგა ველზე წყაროს რაკრაკი მისწყდა, მწუხარებისა და აფრენებია ცრემლი წალკოტმა, ბულბულს წერთო სიმღრის ლროლვა ხალისი და გულსაკლავათ დაიკვნესა პნელეთის ჭოტმა.

მაგრამ ეს, მუხამ, ველზე მდგარმა, მრავალ-
|შტოვანმა,

ანუნშიაც არ მიიღო, არ აცახცახდა...
კვლავინდებურათ ჩეევა იშყო თავის ტოტების
და სხივ მფრქვეველსა განთიადა შემოუყადა.

შენც, შროის შვილო, მრავალ გზობით
|ანჯვა ნახულო,
თუმც მოპირქუშდა ცის კამარა, ჩამოგაბნელდა.
და სვაფ-სუვებმა ყავა-ურნებმა მორთეს ჩხავილი
იქ, სადაც წინეთ სიმრთლის ლექს ბულბუ-
ლი მდერდა,

მაგრამარ გშვენის ქედის მოხრა ბედის წინაშე,
უძმედობის ცრემლთა ფრქვევა და სინანული.
პნელ ღმენ მუდამ დილა მოსდევს ტკილ-სა-
|ნეტარო,

რანჯვა-ვაებას ნეტარება და სიხარული.
დ. თურდოსპარელი.

ჩემი შეილი ცოცხალია!

(უძღვი დ—ა ქ-ლის ხსოვნას)
(სამდგინავით. გურულების ციკვერგიდან.)

კალანდა დილაა. ს. ჩიგვნარში გაისმის სადღე-
სასწაულო სიმღრის ხმა. კანტი კუნტათ თოვებსაც
ისვრიან. ახალგაზდათა ჯგუფი ახალმოდის ვიზიტს
აკეთებს: დაღიან მეზობლებში, ულოცავენ ერთი
ერთმანეთს, კოცნიან, მღრღიან, სვამენ, შეექცევი-
ან. მთელი სოფელი სადღესაწაულო ნაღიმშია.
მხოლოდ ერთი, ქვრივი მართა ფინდიხაძის ოჯა-
ხია მელოდიარეთ. მართას საყარელი ქმარი, პეტ-
რე, ბათუმის „ცხრა მარტმა“ იმსხვერპლა. პეტრეს
ერთად ერთი ვაჟი, დათო, იმ დროს სოფელის სკო-
ლას ათავებდა. მისი წლოვანების შესაფერათ, ის კა-
რგა გამოცდილი და მიმხვდარი ჭაბუკი იყო. მართა-
ლია მას კარგად არ ესმოდა, თუ რასთვის მოპე-
ლეს მისი მამა, მარა მშვერინერათ ახსოვდა, თუ რა დი-
დებით დაასაფლავეს ისა და მისი ამხანვება. ახსოვდა
აგრეთვე საფლავზე წარმოთქმული სიტყვები და სკ-
ლი საყვარელი მამის ხსენება ამის შემდეგ მის თვალ-
ში მეტათ გაიზარდა. დათოს მახვილი გონება, სხვის
დაუშმარებლათაც კარგა გაერკვა მამის ისტორიაში-
იმან გაიგო, რომ მისი მამა არ იყო ქურდი. არ
იყო ავაზეკი, მაშ რათ მოპელეს?. რათ წართვეს
მეგობარი მამი? ეს კითხვები დათოს მუდმივ უტრი-
ალებდა თავში.

— ნენა, მეც მამის გზაზე მომიწევს მგონი სი-
არული... ხშირად ეტყოდა ის დედას.

ფრთხილი დედას გული ასეთ სიტყვებს ვერ
უძლებდა. მას უყვარდა პეტრეს „საქმეც“, მაგრამ
დელიბრევი გრძნობა ვერ დაეძლია— „საქმეზე“ მე-
ტათ მის ერთად ერთი შვილი უყვარდა, ვერ დაუ-
თმო მისი ქვრივობის ნუგეში, ვერ გაემეტებია ამ
„საქმისთვის.“

— სუ შვილო, მე უბედური დღის გაჩენილს
უქმრიობაც მეყოფა, შენ ვერ გაგიმეტებ... ისიც კმა-
რა რომ მამა შენ შამიერო თავენ. შენ ისტავლე
და სიბერე შემატყობიერი...

— არა ნენა, მე მამას ვერ უდალატებ, როცა
იმას მარხავდენ და მისმა აფხანიკებმა იქ ილაპა-
რიკეს, მაშენ მეც გადაცეული გუნდაში: თუ გი-
ნდა კიდეც მოკლან, მეც იმუერი ვიქნები მე-
თქი.

— კი ერთი დედაშვილობას, მე იმას არ გი-
ჩივი გლოხა და მოღალატე გამოდი მეთქი, მარა
იმას-კი გეხვეწები ნუ მომიძულებ და ყორნის
არჩივათ ნუ გმხთი...

დათო წამოიზარდა, „საქმეც“ იზრდებოდა. ის
რაც წინა მისთვის ბურუსით იყო მოცული, დღეს
ნათელი შეიქნა. ის ერთი უკულმართობასთან მებრ-
ძოლ გმირთაგანი შეიქნა. საბრალო მართაც შეუ-
რიგდა თავის ბედს. მოსიყვარულე გული უკვენებდა,
მაგრამ არ იმჩნევდა. გარეგნული სიმაყე ძლევდა
სულიერს.

— ჩემი დათო, მისი ჭირი შემეყაროს, ზედ გა-
მოჭრილი მამა, იტყოდა ხოლმე. დათო ჯერ კიდევ
ოცი წლის არ იყო, რომ მას უკვე იცნობდენ, რო-
გორც ერთ საუკეთესო ამხანაგს...

დათო შეცყრეს. მართა ძლიერ ბევრს ეცადა
ენახა საპატიმროში მისი ნუგეში, მისი ღიძება, მა-
გრამ ვერას გახდა. რადგან მისი შვილი „ძლიერი
დამნაშავე“ იყო. არც არაფერი ცნობა მოსლილდა
ციხიდან. მართა სასოწარკვეთილებას ეძლეოდა.
ხან და ხან მისი პირიდან „საქმის“ და მისი ღიძ-
ებლების წყველი კრულვასაც კი გაიგონებდი. ხუ-
მრიობა ხომ არ იყო, ამ „საქმის“ წყალობით დაე-
ღუბა ქმარი, ეღუბებოდა შვილი, ცივდებოდა უფუ-
ტი. აღარავინ ჩემი დამარხველი. საშო-
ბით როგორც იყო მართამ დათოსაგან წერილი მი-
იღო, ამ რას იწერებოდა შვილი:

„დედა ჩემო!“

„ჩაგეხვევი და დაგიკლნი ჩემს ამზღველ ძუ-
ძუებს. მაპატივე დედა ჩემო, რომ შეგაწუხე. მაპა-
ტივე, რომ შენი იმედი ვერ გავამართლე—ვერ აგი-
სრულე სურვილი და სხვა გზა ავირჩიე. ვერ მოგა-
სწარი ჩემი ცოლშვილი და ბეჭნიერება. კარგათ
იყო რაც იყო ჩემი სიამონება, ჩემი ცოლიც და
შეილიც. ვწერავ რომ გაგმშარე მოხუცებულობა,
მაგრამ რამექნა... საქმე მსხვერპლს თხოულობს და
მეც მას უკვეწერებ... ებლა ყველაფერი გათავდა,

ჩემი საქმე გადაწყვეტილია. შეეჩიე იმ აზრს, რომ მე აღარ გვევარ... ტირილი და ორც რამეს დახარჯვა მე აღარ მიხსნის. იმან, ვინც ამხანაგთ მიმაჩნდა, მიღლატა, პირში წამიღდა... ის გაანთვისუფლეს. მე კი... მშეიღობით! მაგრამ დედა არ შეშინდე, შენი შვილი გმირულათ გადაიტანს ყველაფერს, არ უღალატებს საქმეს... მე მიპატივებია საწყალი გამტემი მასიკ კენჭაძისთვის, მაგრამ ცხოვრება არ აპატოვებს... მშვიდობით დედა, მშვიდობით ჩემო ჯუჯუა...

შენი გამამწარებელი დათო.“

აღვილი წარმოსადგენია მართას ძლიერება! მისი შვილი გასცეს, უღალატეს, სასიკვდილოთ გამოიმტეს. მერე ვინ უღალატა? მისხა მეზობელმა, ტოლმა და „ამხანაგმა“ მასიკ კენჭაძემ.

II

მომლოცავები განაგრძობენ ვიზიტს. შეადლებ მოატანა. მომლოცავებს გზაში ერთი ახალგაზრდა შემოხვდათ. რამელიც ეს იყო ს. ქალაქიდან მოდიოდა. შედგნენ, მიულოცეს, ამბავაბარი ჰკითხეს.

— რაღა ამბავი, ძმებო, დათო...

მხიარული კამპანია ძრიელ შესწუხდა. რადგანაც ყველას თავში ღვინო „უკუსუნებდა“ გრძნობას ყველა მეტათ აიყოლია და ზოგმა ტირილიც დაიწყო.

— მოდით წავიდეთ და ვანუგეშოთ საწყალი მართა—განაცხადა ერთმა.

ყველა დაეთანხმა. . კარზე მოეგება მათ დაღონებული მართა.

— აგაშენოთ ღმერთმა, მრავალს დაესწარით, კი ქენით რომ არ დამივიწყეთ. . ვით შვილო დათო სახარ ახლა, რომ შენც აგინში არ ურევიხარ?

ყმაწველები შეერთენ, ხმა ვერ ამოიღეს. ძნელია „შემცხადიებელის“ როლი.

მართამ სტუმრებში ახლათ მოსულიც შენიშვნა.

— დედა შვილობას, მითხარი ნუ დამიმალავ თუ რამე იცი დათოსი? ყმაწვილის თვალები ცრემლებით აეცსო და ხმის ამოღება ვერარ მოახერხა. უფრო გამოცდილი ყმაწვილები მართას გარს შემოეხვინდ და კლავი გაუკავეს. მართასთვის უსიტყვო-თაც ცხად შიქნა, რომ მისი დათო აღარ იყო.

ის გავაედა, დაჭრილ ძუ ვეფხები დაემსგავსა, არ უკივილია, კრინტიც არ დაუძრავს.

— შენს ოჯახს, შვილო დათო, კალანდა დღეს კივილს არ დავტებდ. წამიუვანეთ ათანასი კენჭაძისას. ვისაც დათო უყვარდა, ის ყველა წამ ამყვება.

ყველა ხმის ამოულებლივ დაემორჩილა.

ათანასე კენჭაძე მამა იყო დათოს მოღალატე მასიკის. იგი მართას მეზობლით ესახლა. გააღეს ქისკარი, თუ არა მართამ სწრაფათ გადიძრო თავიდან ცახოცი, გაიშეწა თბა, შემოიკრა ლოყაზე ხელი, ისე მაგრათ, რომ სისხლი გადმოიდინა და ხმა მაღლა დაიკივლა:

— უბედურო მასიკო, განიჭებულო მასიკო, ყოლიკაუში გამოწყვეტილო, იუდავ გამტემელო!

კვიოლზე შეშფოთებული ათანასი და მისი ცოლი კესა გარეთ გამოცვივდნ, მასიკოს დედაც მოუყვა კივილს. მას ეგონა მისი შეიღილი მართლა სადმე მოკლეს, ან მოკვდა და მართამ შეუმცხადია, მაგრამ მას უჩურჩულეს საქმე რაშიც იყო

მართა განაგრძობდა კივილს და მოთქმას.

გაოცებულმა კესამ დაუწყო მისამძიმრება. კესა მოთქვამს დათოს, მართა მასიკოს.

— მე კი არა, უბედურო კესარიავ, ძუძუებ შეაცვენილო კესარიავ, შენ მოგიკვტა შვილი, ჩემი დათო ცოცხალია—ვაი უბედურ შენს დღეს სასაცილოვ, ყველის სასაცილოვ, მასიკეცვო—მასიკეცვის განდას გველი გაგეზარდა იკი გერჩია, უბედურო კესარიავ, უბედურო, საწყალო ათანასავ, რაფერ გავიმწარდა მოხუცებულოვა, რაფერ დაეგესხა თავსელაფი თავზე,—ვაი უბედურ თქვენს დღეს, უბედურო! უბედურო! ვაი ვაი, ვაი!

კივიღ-წიოკის ხმაზე მეზობლებმა მოიყარეს თავი ათანასესას, არ იცოდენ ვინ ეტირათ: მკვდარი დათო, თუ ცოცხალი მასიკო.

მართა კი განაგრძობდა მოთქმით ტირილს და თავში ცემას.

— მე არ მომიტიროთ, მე აფერი არ მჭირს სატირალი. უბედურ კესარის მუუტირეთ, მისი მასიკელია კვტარი, თვარა ჩემი დათო ცოცხალია, ცოცხალი—უბედურო კესარიავ—უბედურო, შენ უცხლოთ დამწარო, შენ უმდურიოთ მოხარჩულო, ცოცხლითა გამოწყვეტილო ქალობაში, გაუბედურებულო ათანასის ოჯახო, კალანდის შაგიერ რაფერი ზვი ყვერიელი გაგითენდა. გვარის საჯაყო მასიკელავ, თავსელაფ დასხმულო, გაკიცხულო, ახალგაზონბაში გამოწყვეტილო, უბედურ შენს ჭირისუფალ შენგან გუუსარებელს. შენგან გალანძღულს, მას მოყლოდა შენგან უბედური მამა შენი? ვაი! ვაი! ვაი! უბედურო! უბედურო!

?

ზანტი.

ღ ი ღ ი ნ ი.

(სახალწლო ძლევი)

ერთგული იყავ ქამანჩავ
შენი ტლუ ამხანგისა,
არ გამიწბილო იმედი
კენჭესამე შენი ჰანგისა!
შენ იყავ ჩემი ნუგეში
გულის სიმის მფენელი,
ვინდოთ არ გამინაწერნ,
არ მოიმდურო მსმენელი!
ნურც ვისმე მოეკრძალები
დასძახე ვაბედულათა,

მიუკერძ — მიუდგომლობა
გქონდეს მცნებათ და სჯულათა!
მოყვარეს შეიყვარებდე,
მტერს უხვდებოდე მტრულათა,
მშრომელთა წყლული გულისა
მიგანდეს შენდა წყლულათა!
საქები აქე ტებილ-ხმებით...
(ნუ კი გაიხდი ღმერთათა)
რაც საგმაბია, სჯობია
დავგმიათ, ვაძაგოთ ერთათა!
ქვეყნის გამცემს და მუხანათს
ვეფრქვიოთ შხამის წყეთათა
და ნუ დავინდობთ ოჩ-გულის,
ერთ-გულათ, გასაკეთათა!
მაშ ახმაურდი ქამანჩავ
კრიმანჭულ სევდიანათა
ახა, ცის კიდურის, ახალ წლის
მნათობმაც ამოანათა!

* *

„პოდეზდის“ კარებს წავაწყდი
ეწერა: „ვომართელიო...
ვსოდეთ თუ, გზას რაღათ ვიშორებ,
ზარსა ჩამოვკარ ხელიო!
ბრიგინ ბრიგინით, მოახლე,
(ფეხ-მარდი იმერელიო)
კარებს მოაწყდა, თვალები
დამიბრიალა ჭრელიო!
წარბი შეიკრა, დამყვირა
რა კი გააღო კარიო,
მითხრა: — ვინა ხარ თხერიო
ლამის გასწყვიტო ზარიო.
— ნერივ რას შრანებ ყმაწყილო,
ბატონი შინ ხომ არიო?
— ვის ბატონს მკითხავ ..
— შენს ბატონს...
დამშეიდლი, ნუ ხარ ცხარიო!
— შინ არი, მერე რა გინდა?!

— საქმე მაქვს სათხოვარიო.
— კარგი, წამოდი! — გავყევი.. .
გული მიფეხქდა მტკივანე
მაგრამ მყის ძალა მოვიეც
რო დავინახე ივანე!

— სადაური ხარ ყმაწყილო?
— რაკველი შენი ქირიმე!

(გუდას ჩაებერე ლონივრათ
თან ავამლერე სტვირი შე.)

ამბობენ: დათნის გვირგვინით
სდაფნავ და ამკობ რუსებსო,
კრიტიკის მწვევე ცეცხლითა,
“აქილებ,” თავს უტრუსებდო!
ქართული ლირაც მეტის-მეტ
დააყვდ-დაამცირეო,

როგორც მოზარემ ტირილში,
დამშუბრ დატირეო.
— ხო არ დამცინი მესტვირევ,
რაღაც არ მომწონს კილოვო...
განაგრძე, არ მსურს ახალ წელს
სახლიდან გაგაწბილოო.

* *

მსურს ვინასულო კოწია
„რუსულ ქათმების“ ქორიო;
საღმი ვადრო თავაზით
და არა როგორც სწორიო!
არ დავიზარებ, რადგანაც
არა აქეს ბინა შორიო,
ძაღლი, რო კუდით ითრევდეს,
ბრძანდება რედაქტორიო!
... მიველ და ვნახე მორწმუნე.
მეოუცა მივეც, ახალ წლის
ტუჩის არ უპობდა ღიმილი
არც იყო მოვალიახეო!

შეკათხვა მივეც: — ნეტავ რას
მოუწყენიხარ თავადო,
გულს ნუ დამიკად, მგრძნობელ, გულ!,
მარქვა, ხომ არ ხარ ავადო!
სდუმხარ, დაღრეჯით მჯდომარე,
თავი ძირს დაგიხრიაო;
ხმა გამე, აგრემც გიცოცხლოს
უფალმა „ივერია“-ო!
ვთქვა თუ არა ეს, კოწიამ
საზარლოთ დაიხნებათ,
ჩაფლეთილ გულის სიღრმიდან
აღმოხდა მწარე კვნესაო;
და თქვა: ყმაწველოა, მომიკვდა...
აღიარ მყავს მე იგიაო
რათა ხანია დაემარხე
ნუ თუ არ გაგიგიაო?!

— არა კეთილო... მაგრამ... ეჭ ...
რას არგებ წუხილითაო
ველარ აღადგენ ცხონებულს,
გლოვის ხმის ქუხილითაო!
გული მოიეც, გამხნევდი,
„ნისლები“ უკუ ჰყარეო
და „საქართველოს მოამბე“
შვილივია შეიყვარეო.

* *

ახალს წელიწადს გილოცავ,
პირ-ტიტოველ ცილინდროსანო;
აღზრდილო „ევროპაშია“
მეცნიერო და მგოსანო!
სიბრძნეო! შენი რა მომწონს —
ხეთქილი გენიალობა;
მსმენელთა შენთა კეკლუცთა,
ტუვენა და ეშით მთვრალობა!
თაყვანს ვცემ, ჩვენო ვარსკვლავო,

შენს მაღალ გონიერებას,
უნივერსანალეტიურ
პლატონებრ სახიერებას;
ინდივიდუალ, ქქუალ,
სკრნა, კვეთილ, რეალობასა;
ყოფისა ნაქმანა-ნაკვთებას
იმიერ სოფლის ფლობას.
შენ ხარ მზე ამომავლი
ჩამავალ ქართველობისა;
არ დაანატრო ხშირ ხილვას
თვალნი ძის, მხრუნველობისა!
დავნატრი შენთა სიტყვათა
ზილფოგანებრივ ჩევასა;
(ქალალზე არ ხარ ჩევული
კრიტიკულ აზრთა ნოხევასა!)
დიდება შენსა განმსახავს
ჩვენს ტურფა საქართველოსა;
ინატრის, ვეღრ გამოზრდის
შეილს შენებრ სასახელოსა.

* * *

თუ საცემით ვერ გაამე
შემცნელო, შენ ჭირიმე,
გთხოვ ნუ დამძრახავ ჯერ უცდელ
არ შემიგინო სტვირი მე!
პიიი, ჰუუუ, სუუუუ..
.. არ შემიგინო სტვირიმე!...

ფრთიფა.

ქადაგი

(1910 წლისაწვის.)

შოგლე წინა სიტყვაბა.

კალენდარის წარმოება, ეს ერთგვარი წინასწარ-
მეტყველობაა და როგორც ყოველგვარი წინასწარ-
მეტყველობა, ისე ჩვენიც ბევრი შეიძლება გამართ-
ლდეს და ბევრი გატრუტებეს. ორივე შეითხვევაში
მკაფიელი და მორწმუნე არავერს წაგებს. შარშან
ჩვენ ადრე შევწყვიტეთ ეს განყოფილება, რადგან
საზოგადოება არ იყო მომზადებული, მაგრამ მიუ-
ხედავთ სიმცირისა ბევრი მათგანი უკვე წახდა. ზო-
გიერთის შესახებ შარშანაც მოგახსენეთ, ხოლო
ერთს ახლა გამომობთ:

ერთ-ერთ საკალენდარო ფურცელში ნაჟვამი
გვქნდა: „ისე რაჭელი მუხრანის ხილიდან გადა-
ვარდება მტკვარში და გოროლოვები შეტეხის მა-
სლობლათ ამოიყვანენო.“ ეს ჩვენი წინასწარმეტ-
წყველება, როგორც გავიჲთ, საცემით არულებუ-
ლა. საიდუმლოებით მოცულია მხოლოდ ის, თუ სა-
იდან გადავარდა მტკვარში ჩვენი, ხალხის ჭირისუ-
ფალი“ დიდებული „ივერიის“ ბელეტრისტი იასე.

ი ა ნ ვ ა რ ი.

დარი იქნება ცვალებადი, როგორც ქურქი უპარ
რია ინტელიგენტისა: ხუთმეტამდე, ერთობ ზო-

მიერი, ვითარცა სოციალური მიღრეკილება ი. გო-
გბაშეილისა, ხოლო ხუთმეტიდან ვიღრე დამლევა-
მდე სასტიკი და მკვახე, როგორაც პუბლიცისტიკა
, საქართველოს მოამბისა.“

პოეზია. კიტა აბაშიძე აღმოაჩნის ახალ ვარს-
კლას მომავლისას, — გრიშაშეილს, მიუმატებს შან-
შაბაშეილს და ამ ვარსკლავო კრებას უწოდებს „, მა-
რჩევის“ ანუ „ტუშბს.“

ხელოვნება. იოსებ იმედაშვილი თავისი . თე-
ატრითა და ხელოვნებით“ ქართული სასცენო საქ-
მეს ძლიერით შეარყევს და თითონაც შეირყევა. პა-
რთენ გოთუა დაწერს „, პარტიის ქალს“ და უშე-
ტეს განავითარებს თავის განუვითარებელ შემოქმე-
დობით ნიჭს. დრამატიული საზოგადოების გამგო-
ბა სთხოვს ი. გომართელს: ითამაშის ქართულ სცე-
ნაზე „, ნიკო მგელაძის“ როლი „, პარტიულ კაც-
ში“ და რადგანაც გომართელი ხათრიანი კაცია,
ვარს ვერ ერყვის.

ძველი მწერლობა. გიორგი გვაზავა გამოი-
კვლეს, რომ სახარება მოსე წინასწარმეტყველის
დაწერილია, 13 წლით ადრე ქრისტეს დაბადებამ-
დე. იგვე ავტორი, (გვაზავა) დაუწყებს თხრას
მუხრანის ხილთან მიტანილ ნაგავს ისტორიულ სიძ-
ველეთა გამოსაკვლევათ. მოსე ჯანაშვილი დასწერს
კიტა აბაშებზე ვრცელს მეცნიერულ გამოკვლევას,
რომლითაც დამტკიცებს, რომ ქართველი კრიტი-
კოს ძლიერ მწყრალათა ყოველგვარ სიძველესთან,
გარდა ძველი აზროვნობისა.

გეოგრაფია. ცნობილი მწერელი ალაროდიე-
ლი შეადგენს სრულს ქარტას: საქართველოისას,
რომლის საზღვრებიც იქნებიან: სამხრეთი ეკვატო-
რი, ჩრდილოეთით პოლიტიკი, აღმოსავლეთით დი-
დი იკეანე და დასავლეთით კი სათავად-აზნაური
გემნაზია.

დრამატურგობა. ქართულ დრამათა კალის მიე-
მატება კიდევ ექვსი ახალი დრამა.

- 1) „შარლატანიზმ“ გიორგი გვაზავასი.
- 2) „სიჩლუნგიზმ“ ი. ნაკაშიძისა.
- 3) გაქუცვიზმ“ იასე რაჭელისა.
- 4) „იეზუიტიზმ“ კოშია თუმანიშვილისა.
- 5) „კლინიზმ“ ალ. ჯაბადარისა.
- 6) „პარიზიტიზმ“ გ. ამირაჯიბისა.

ყველა მათგანი მიიღებს დრამატიულ საზოგა-
დოების პრემიას, თუჯის შენდალს, რომელზედაც
გოთუას სახე იქნება ამოჭრილი პირველ-ყოფილ
მდგომარეობაში.

არქეოლოგია. ზაქარია ჭიჭინაძე აღმოაჩნის ძევ-
ლის ძეველ ნაშთს ზუბალაშვილთა გვარულობისას.
ნაშთი იკვეთენის 8009 წელს ქრისტეს დაბადებამდე
და შეტება აღნიშვნულ გვარის გვარობა-მრეწველობას
სამხრეთ აგსტრალიაში. არქეოლოგიური საზოგა-
დოება სთხოვს გამოსაცემათ დაომობას, მარტ ზა-

ქარია არ დასთანხმდება, ვინაიდან თუ ქველ-მოქმედები რასმე გამოიღებრნ მეტითონ მჭირია სახლზე მესამე სართულის დასადგიმათ.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა წერა-კითხეის საზოგადოების გამგეობა შეამოწმებს საზოგადოების მუზეუმში ორს გატეხილ ბიუსტს და მიიღებს შემოწირულებას მუზეუმის შენობისათვის 38 კაპეის.

ჟიონის ქათარაძე წ.-კ. ს. წევრთა შორის მოაგროვებს 7 მანეთს და გადასცემს დანიშნულებისამებრ.

ქართული კლუბის თავმჯდომარეთ ამოირჩევენ ბ-ნ ლობჯანიძეს.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა დაადგენს საზოგადო კრების მოწვევას.

უურნალისტთა საზოგადოება სავონორარო შემოსავლის თანხიდან შეიძენს ერთ სტამბას, სადაც დაბეჭდავს განტხადებას საზოგადოების დახურვის შესახებ.

ალექსანდრე ივანეს ძე ხატისოვი წაიკითხა შესანიშნავ ლექციას: „ბ-ნი ბატაილი და მისი დაუფასებელი მოღვაწეობა ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგებაში“. ხალხი დიდის აღტაცებით მიეღება.

სამხედრო წევრები...

ე შაჟი.

შ ა რ ა დ ა.

მსურს ნაახანწლევო მკითხველებს
მილოცვა დავუზუილო:
მაგრამ ვერც ვამბობ სიმართლეს,
არც მინდა მოვატყუილო.
იცოცხლეთ, მრავალს: დასცართ
ამგვარათ ახალშობილს:
კოქლსა, მუნჯსა და ბრუციანს,
გონება გამოხშობილსა.

ახლა კი, უმორჩილესად
გთხოვთ ყურნი ჩემქენ იბრუნოთ,
ამ მოკლე შარადისათვის
ივაგლახოთ და იზრუნოთ.
ბევრს მოითხოვს ხელობას
თუმც უბრალო და მცირია,
რადგან ყოვლისა პირველად
ტალახის ზელა სქირია,
შემდეგ ოთხეუთხად მოყვანა,
და გამოშრობა ქარზედა,
მერქე კი გამოსაწიავთ
მიტანა ქურას კარზედა.
როცა დამზადდეს საგანი,
მას მყისვეშთავი მოჰკეთეთ,
მაგრამ მოქრილი მაშინვე
ბოლოდან წამოიუკეთეთ.

ამით თავდება შარადა,
სხვა მას აღარა სჭირია:
ჩევნი სამშობლოს კუთხეა
ბედისგან განაწირია,
ხუთი წლის წინეთ, საბრალოს,
ტბილათ უღიმდა პირია,
დღეს ძლიერ ჩამოლრეჯილა
ანაცრემლ-ანატირია.
ეგზეუცია, ჯარიმა,
აქ პანტასავით ხშირია,
მოისპო შინა ოთხფეხი
და შინაური სირია,
ხალხი კი როგორ ბოგინობს
ღმერთმანი გასაკვირია:
სულ ყრილობაზე იწვევენ
საქმის თლეა თუ კირია,
მიწა სადა აქვს, მაგრამა
თოხიც ვერ მოუპირია,
დღეს წიხლით უმასპინძლდება
ყველა დიდყურა ვირია,
არ ითქმის, ენით არ ითქმის
იმისი გასაჭირია.

ვეპვობ ეს მცირე იქმულება
ვინმეს ენელოს მცირეთა...
და თუ ენელია, „შერტხვი თქვა“
სულ ყველამ მიაყვირეთა.

კოლ.

ჭიათულა და გველი.

იგავისებური.

(ვუძღვნი გიორგი გვაჩავას)

მაღალ გორაკზე, ძველს ნანგრევებში,
უზარმაზარსა
პიტალო ქვებში,
ცხოვრინბლა გველი
შიშის მომგვრელი.

წარსულის შუქი, და სხივი მზისა
უხავთ ათბობლა ნანგრევის ძირსა...
გველიც, ხან შექნე გამოწვებოლა,
ხან ძირს, საღლაცა
ქვესნელს ძერებოლა.
ნანგრევის ყველა ჩუმი საძრომი
ათასჯერ ქონდა გადანაზიმი!..
სხვა ბინადრიც ეფარა სადგურს,
მაგრამ მას, გველს,
მხნეს და მედიდურს
იქ სხვა ვერავინ შეედრებოლა:
ლამურა, მხოლოდ დღითი ძერებოლა,
მინდევრისა თავგი თუ შეიჩბენდა,
იქ მყუდრო ბინას ვერ გაიჩენდა.
მუნ ჯოჯოც იყო დაბუღებული,
მაგრამ მას მუდამ უწუხდა გული,
და როცა გველი
კუდს გაიქნევდა,

საბრალო ჯოჯო
შიშით სულს ლევდა.
ნანგრევის ქვემით, კაობის პირათ,
ხახს მოკიდებულ ნამორის ძირათ,
ქიაყოლისა დაედგა ბინა,
ცხოვრობდა მშვიდათ
ის, თავისთვინა.
ძერბებდა დამპალს და მყრალ ქვიშაში,
თავს არხენით გრძნობდა მიწაში,
მას არ ენახა
ნათელი მზისა,
არც სილაფერდე ბრწყინვალე ცისა
ერთხელ, ჩაღალა მოქალისა
მიკლებ მოვლება
მინდერად თვალისა,
და რაკი სურდა
ზე ამოცურდა...
შეისვე შენიშნა ნანგრევზე ვველი,
(ზეზე თბებოდა ლაღი და გრძელი!)
არ მოეწონა იმისი სახე
და ქიმ სიტყა შეჭიდრა მკახე
— ჰე, ზარლატან!
მითხარი ვინ ხარ
მანდ ნანგრევზე რო გაწოლილხარ?
არ გემის?.. შენ ჰე!..
ქუჩლო, ცბიერო,
პასუხი გმიეც სამაგიერო.
(გველი კი იწვა, არ ინძრეოდა
და ქიაყელა გულზე სკდებოდა).
— ბრიყვი ყოფილხარ
სინდისა ვეოცვ!..
ეს რა გყოლია, სამშობლო მიწავ!..
ასეთი ურცხვი და უნაშესო
ჩვენს ქვეყანაში
ვინ შემოუშო?
(ამის გამგონე გამოძრა ჯოჯო
და მთახენა:
— ნუ ცხარობ, ოჯო!
გველს ვინ არ იცნობს
ამ მიღმოში?
შენ სად გასრდილხარ, რომელ გოდორში?
მასთან საბრძოლი სად გაქვს შენ ძალი
მარტო ლორწო ხარ,
არ გიჩანს ძვალი...
აქ ამის შიშით ნადირნიც თრთიან. .
შენ რა გვარი ხარ,
რა მხეცი გქვიან?
— გნა ჩქმის კი არ იცნობს ყველა?..
მე რა მხეცი ვარ და, — ქიაყელა.
ერთი მეც მკითხე
ძალი და ღონე...
სცდები თუ მართლა ლორწო გეგონე.
— კი, მაგრამ ხედავ იმის სიღიდეს,
მრისხანე თვალებს
სიმსხოს და სიგრძეს?..
შენ ერთგვარი გაქვს თავი და ბოლო,
რითი გსურს იმას
რომ შეებრძოლო?!

— რითი და ჩემი გაბედულობით
სივაჟუაცითა
და ლომგულობით..
რათ მინდა ძვალი და კიშკიშები.
იმოდენის მეც კი გავიტემები.
აი მიქირე თუ არა გჯერა...
(აქ მან პირჯვარი გადაწერა
და თავხედურათ გვერდს მიუცურდა
ს წყალს გველივით გაჭიმვა სურდა!)
— აბა შეხედეთ ჩემს ხელოვნებას!..
მე არვის მივსცემ დაცინვის ნებას..
ნახავ, თუ გველსაც
არ წავაცილო...
ვინ დარჩეს ბრიყვი და სასაცილო.
(ის გაიჭიმა და გაიწერთა,
მაგრამ მტერს... საქმე მას დაემართა!..)
საბრალო, გველსაც ველარ გადასწვდა,
და მეტის ჭიმით
შვაზედაც გაწყდა.

ეჭმაკი.

საახალწლო საჩუბარი გლვდლებს.


აპა ესერა, მამებო,
მომაქვს რჯლიანი ცხვრის თავი,
ნუ კი შემრისხავთ, — სიჩქარით
დამირჩა გაურუჯავი...
ა, კიდევ ცხვრის ფეხები,
ა, წვენიც შესასვლიპავი,
ქოთნით მოგართვით, მოძლვარნო,
მიღლეთ შესაწრავი.
დღეს ეს იქმარეთ, ხვალე-კი
გავყიდი, რაც მაქვს, ყველისა
და ღრამის ფულით მოგიღვნი
რომ ავცდე ხათაბელისა ..

მაშ ჩამომართვით, მამებო,
ძლვნი, რჯლიანი ცხვრის თავი,
და ნუ შემრისხავთ, სიჩქარით
დამირჩა გაურუჯავი...
იჩაკლი.



ხა მოაღარებოსა

ყავაშნოსა შინ.



შარი

გ ე რ ი ბ ე ბ ა!

(ცელენით ზოგიერთ ქართველ ინტელექტუალის)

ერთი მამულის შეიღწი ხართ,
ერთ ცის ქვეშ ამოზრდილები,
რა კუკოთ სხვა და სხვა გვარი
რომ ამოგსკლიათ კბილები?!

შერიცდით, ერთად იცხოვრეთ,
თანხმობით, მეფობრულითა:
„ეს მგელიაო“ „, „ის ცხვარი,“
ნუ ისსენიერთ სრულიათ.

ორიევ ქართველები ხართ,
საქართველოის შეიღები
ვიცი, საქვეყნო საქმეში
ერთმანეთს შეეცილებით!

აბა, მიცით ხელი ხელს,
გადაეხვით მშერათა,
შენ რო ხორცია სქიმ, ის ბალაბს:
აქ ნუ ჩავაგდებთ ნურათა.

მგლებს უხარით, ცხვრები კი
ცხარე ცრემლებით სტირიან,
ინ და მგლის დამეცობრება
ცხვრებს რა ეშვიათ სპირიან.

-- კ.

გასართობები

ქობულეთში უფროსი მობრძანდა. დაიბარა
ადგილობრი ზუბრები და გამოუცხადა:

— თქვენ ძლიერ ბევრი ავი კაცი და ავაზაკი
გყავთ. ისინი დაუყონებლივ უნდა გადასცეთ პო-
ლიციას რომ გადასახლოს, თორემ ეგზეკუცით
დაისჯებითო.

ეს ამბავი არ ესიამოვნათ ქობულეთლებს. წინ
წარსდგა ტემპერ-აღა ხარარაზი და მთახსნა:

— მართალია ფაშა ეფუნდი წინეთ ბევრი იყო
ჩვენში რაზბონიერ და ავი კაცი, მაგრამ აწყებ აღა-
რავინ დაგვრჩა, ზოგი ქუთაისს წაიყვანეს სტრაჟ-
ნიკათ და ზოგიც მამასახლისებათ დანიშნეს.


— ??

ნიორი.

— როგორ მოგწონს ზაქარო, ე თავადები
რო მამულებსა ყიდან?

— განა ახალი რაა, იმათ ძველათაც ხშირათ
გაუყიდიათ მამული.

ხახვი.



საახალწელო სარკე.

ახალ-წელი მობრძანდა
კუჯრის ავტომობილით,
მრავალ ამ დღეს დაესწარ
თქვენი (ან ჭონ) ძმობილით.

აშ ეხლა მოგილოცავ
თუ მომისმენ ყურითა,
მივეგებოთ იხალ-წელს,
მარილით და პურით.

ნუ მოგაკლოს შემდევში
სავსე ღვირო ჭურითა,
კიდობანი ქადებით
ნაზუქ-ხაჭაპურითა.

სუფრაც მოგცეს შემკული
ქათამ-ინდოურითა,
ღვინო, ბოთლის მაგიერ,
გესვას გოზაურთა,
დროს ლხინით ატარებდე

თარით კიბანურითა,
შენს მშიერ მოძმეუბსა
შესკეროდე შურითა.

ბედნიერათ თავს რაცხდე
სუფრის მგლით და ტურითა,
„უმიერს“ გაბეიოდე
ბანით, კრიმინკურითა.

თავი კვალად მოგქონდეს
კვეჭის სამსახურითა,
გვერდით გიდგას ჭაბუკი
ვირით ბედაურითა,
კვალადაც ამაყობდე
თავად-აზნაურითა,
და სმენას დაუტებობდე
ქცევით ჯამბაზურითა.

ა. განჯის-კარელი.

სამურავანოელის გალოცვა.

— კარი გამიღე

— ნეტა რა მოგაქვს?

— ბედნიერების ახალი წელი,
ეგზეკუცია და ჯარიმები
საშეილის-შეილოდ გადაუხდელი.

— კარი გამიღე?

— ნეტა რა მოგაქვს?

— ძარცვა და გლეჯა, ქურდ-ბაცაცობა,
არსენ, ბაგრატის, ბაკურ და სხვების
საიაგავო უკარ-კაცობა.

— კარი გამიღე?

— ნეტა რა მოგაქვს?

— მფრინავი რაზმის გაუმაძლრობა
და მათ უძირო ჯიბებისთვის
ათ-ათ თუმნობით ქანქრის დაწყობა.
პეტრების მხრით, თავგანწირული
არსენებისთვის ერთგული ძმობა,
მათივე მხრიდან ხალხის მუკარებზე
ენატანიობ — დურმიშხანობა.

მომაქვს სამოცი ათასის ჩვენზე,
ვისაც გვპარავენ, განაწილება
რიგ რიგ გაუყოთ მფრინავ კამანდას,
რომ არ მოუხდეს ჩხუბი, ცილობა.

ლოდორი...ების საღათის ძილი
მათი საეჭვოთ გამოლვიდება,
და „ჩვენც კაცი ვართ“ არის თქმისათვის
მტრებისგან მწვავე შურის ძიება.
მომაქვს ხუცების გახსნილი მაღა,
მათი კურთხევა და ქადაგება:
„მოითმინეთო, მოითმინეთო,
თორემ მერწმუნეთ სული წიწყდება.“
დაძიპო — ციმბირელი.

ვალიალი 1910 წლის 20 იანვარი

მიიღება ხელის მოწერა
ურველ-კვირეულ იუმორისტულ უსრიალზე

მათრახი



და სალამური



ყოველ-კვირის უსრიალი იუმორისტული უსრიალი

ვიწყ ამ თავიდან გამოიწერს უსრიალს და მთელი წლის ფასს შემოიცანს ავტის-
ცოს ბირველ რიცხვებში უსრიალთან ერთათ

პრემია გამზავნება ახალი პრემიული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: დექსები, მთხოვთაბები, იუმორისტული ნაწარ-
მფებისა და სხვა. როგორც არგინალური ისე სითარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ელიტება 1 გ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

უსრიალის ფასი მთელი წლის სრულად უდაბნო აუცილებლათ შემოიტანონ პირველ
ივნისაზე. ეინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა
შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 გ. 50 კ. დანარჩენი 2 გ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან უურნ. „მათრახი“ და სალამური გამოვა იმავ ში-
ნარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს უსრიალი. მონაწილეობას მიღებენ:
აზახი, ბლიკვაძე, განჯია-გარელი, ეშმაკი, გოლდემარი, ზომლეთელი, თურდოს.
შირველი, ისამანი, ქენტი, ლეჩესუმელი, მალაქიაშვილი, ბიცნა, ც. რამიშვილი,
რუხაძე, რუშაველი, ტუქისაშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩაშვილი, შხანგალა და სხვანი.

უსრიალი წლიურათ ღირს 5 გ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნოტერი 10 კ.


ფულის გამოსაგზავნი ადრესი: თიფლის ტიპოგრაფია თ-ვა „შრომა“
ვასილი კარამანიუ ბოლკვაძე.



ცოდგაში ჩავარდნა პირველი ქართველისა.

მას ეძმა შინა, ოდეს იდამი იღდა მახლობლად ხისა „ცნობალ-ფურცელისა“, ბოროტი გეელი, (რომლისა თავში ბუდობდა ეშვე) გამოეძინა მას:

- ალექსანდრე, ალექსანდრე!
- რასა ინებებ ბატონი! იყო პასუხი ალექსანდრესი.
- შირთლა აგიკრძლიათ ღმერთმა ჭიმა ნაყოფისა ამა ხისაგან?
- ჭიმს ბატონო, აგიკრძლიათ, სისტიათ აგიკრძლიათ.
- მაშ არ გინდა შენ სქამთ ნაყოფი მისი და სცნო კეთილი და ბოროტი?
- ალექსანდრე შესცდა. გველს „ნაყოფი“ ჩამოართვა და შესჭამა. იმ დღიდან, ვიღრე დღევანდლამ-
ღ სცნა მან მხოლოდ კეთილი.



თანახმათ დადგენილებისა.

თანახმათ საზოგადო კრების დადგენილებისა წ. კ. გ. საზოგადოების სისევიზით კომისია შეუდგა
სამუშავებო ნაშთების ახალ პინაშე გადატანას.